

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #005/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა:

ადვოკატი „ა“ წარმოადგენს ერთ-ერთ სამოქალაქო დავაზე კლიენტის ინტერესებს. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა „გ“-მ (როგორც თავისი კლიენტის ინტერესების წარმომადგენელმა) მსგავს დავასთან დაკავშირებით აღძრა სარჩელი იმავე მხარის წინააღმდეგ (ადვოკატ „ა“-ს კლიენტის მიმართ), ისე რომ ამის თაობაზე არ აცნობა თავის კოლეგა „ა“-ს. რამდენად ჯდება ადვოკატ „გ“-ს მოქმედება კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში?

ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (აპკ, მუხლი 10.1.) ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა ისე განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა, რომ პატივი სცეს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული გულისხმობს კოლეგისადმი უხეში და შეურაცხმყოფელი ქმედების დაუშვებლობას.

ადვოკატისათვის უპირატესია კლიენტის ინტერესები და არა კოლეგის ინტერესის სასარგებლოდ მოქმედება. სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა წარმოადგენს კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და საქმის წარმოების სტრატეგიას, რის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისთვის შეტყობინება კლიენტის ინტერესებს საფრთხის ქვეშ დააყენებს. ადვოკატისათვის უპირატესია კლიენტის ინტერესები და არა კოლეგის ინტერესის სასარგებლოდ მოქმედება, შესაბამისად მოცემული შემთხვევა არ წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას.

დასკვნა:

ადვოკატები ვალდებულნი არიან კლიენტის ინტერესების შესაბამისად იმოქმედონ, ამასთან მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ურთიერთობისას არ უნდა დააზიანონ კლიენტის ინტერესები და დაიცვან კონფიდენციალობის პრინციპი. ადვოკატებმა კოლეგიალობის დაცვის პრინციპის შესაბამისად უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, რაც მნიშვნელოვანია პროფესიის კორპორატიული არსის განმტკიცებისთვის.

¹ <https://gba.ge/pdf/5dde8461c55c7.pdf/005.19%20gacemis%20tarigi%2007.02.19.pdf>